Monthly report

DIGITAL ECOSYSTEM DIGEST

November 2022

ციფრული ბაზრების ზრდის ტენდენციები საქართველოში

BTU ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

რა არის DIGITAL ECOSYSTEM DIGEST?

Digital Ecosystem Digest არის ყოველთვიური ელექტრონული კვლევითი ანგარიში, რომელიც გამოიცემა BTU-ს მეწარმეობისა და კვლევების ცენტრების ინიციატივით.

ანგარიში მიმოიხილავს მიმდინარე ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ტენდენციებს საქართველოს ციფრული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში და ფარავს ისეთ თემებს, როგორიცაა სტარტაპები ციფრულ ბიზნესში, ელექტრონული კომერციის ბაზრები, ციფრული პლატფორმები (B2B, B2C ან C2C), ფინტექ ტექნოლოგიები და ა.შ.

ანგარიშის მიზანია, როგორც არსებული ინფორმაციის კონსოლიდაცია, ასევე ახალი პრაქტიკული ცოდნის გენერირება ციფრული ეკონომიკის შესახებ.

ყოველი თვის კვლევითი ანგარიშის თანაავტორები იქნებიან სხვადასხვა მკვლევარები. 2022 წლის ნოემბრის გამოცემის ავტორები არიან BTU-ს აფილირებული აკადემიური პერსონალი - ცოტნე ჟღენტი და ვახტანგ ჩქარეული.

ელექტრონული კომერციის ბაზრები საქართველოში

ელექტრონული კომერციის ბაზრის მოცულობა (მლრდ. ლარი)



*შემოსავალი, რომელიც მიიღება ფიზიკური პროდუქტის საბოლოო მომხმარებლისთვის ციფრული არხებით მიყიდვისას B2C სექტორში

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში ელექტრონული კომერციის ბაზრის მოცულობა 2022 წლისთვის ასცდება 2.2 მილიარდ ლარიან ნიშნულს. 2021 წელთან შედარებით, ეს არის 7.8%-იანი ზრდა ლარში, ხოლო 17.5%-იანი ზრდა თუ პროდუქტის ფასს დავითვლით აშშ დოლარში.

ივარაუდება რომ 2025 წლისთვის, ბაზარი მიაღწევს 3.6 მილიარდ ლარს (18.9%-იანი საშუალო წლიური ზრდით).

ელექტრონული კომერციის ბაზრის სტრუქტურა 2022 წელს



ელექტრონული კომერციის ბაზრის შემოსავლების ნახევარზე მეტი მოდის ელექტრონიკის და მოდის ინდუსტრიაზე. 2025 წლისთვის, ივარაუდება თითოეული პროდუქტის ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი ზრდა, თუმცა მთლიანი სტრუქტურა მეტწილად უცვლელი დარჩება.

არსებული მონაცემები გაანგარიშებულია ავტორების მიერ Statista-ს ინფორმაციაზე დაყრდნობით და გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველთვიური საშუალო გაცვლითი კურსები.

ელექტრონული კომერციის ბაზრები საქართველოში

ელექტრონული კომერციის ბაზრების დინამიკა (მლნ. ლარი)



ელექტრონიკა



მოდა



ავეჯი



სათამაშოები & სპორტი



თავის მოვლა & ჯანმრთელობა



წიგნები & მუტიმედია



საკვები



სასმელი

არსებული მონაცემები გაანგარიშებულია ავტორების მიერ Statista-ს ინფორმაციაზე დაყრდნობით და გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველთვიური საშუალო გაცვლითი კურსები.

ელექტრონული კომერციის ბაზრები საქართველოში

ელექტრონული კომერციის ბაზრების მოცულობა (აშშ დოლარში) და ზრდის პერსპექტივა



ელექტრონიკის და მოდის ინდუსტრიები, მიუხედავად უკვე არსებული მაღალი ბაზრის წილისა ელექტრონულ კომერციაში, მომდევნო წლებშიც გააგრძელებენ გაფართოებას მაღალი ტემპით. ჩამოთვლილი კატეგორიებიდან, ყველაზე სწრაფი ზრდა მოსალოდნელია საკვების მიმართულებით.

არსებული მონაცემები გაანგარიშებულია ავტორების მიერ Statista-ს ინფორმაციაზე დაყრდნობით და გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველთვიური საშუალო გაცვლითი კურსები.

ელექტრონული კომერციის ბაზრები საქართველოში

რაში და რამდენს ხარჯავს (წლიურად) საშუალოდ ელექტრონული კომერციის მომხმარებელი?



2022 წლის მდგომარეობით, საქართველოში დაახლოებით 570 ათასი ადამიანი იყენებს ელექტრონული კომერციის სერვისებს. საშუალო მომხმარებლის წლიური დანახარჯი შეადგენს 3808 ლარს, რომელიც ნაწილდება სხვადასხვა კატეგორიებზე.

არსებული მონაცემები გაანგარიშებულია ავტორების მიერ Statista-ს ინფორმაციაზე დაყრდნობით. აგრეთვე, გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველთვიური საშუალო გაცვლითი კურსები და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის "შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევის" 2022 წლის მონაცემთა ბაზა.

ციფრული ჯანმრთელობის ბაზარი საქართველოში

ციფრული ჯანმრთელობის ბაზრის მოცულობა* (მლნ. ლარი)



*შემოსავალი, რომელიც მიიღება საბოლოო მომხმარებლისთვის ციფრული ჯანმრთელობის სერვისის (ჯანმრთელობის მობილური აპლიკაციები, დაკავშირებული მოწყობილობები, ტელემედიცინა და ა.შ.) მიყიდვით B2C სექტორში.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში ციფრული ჯანმრთელობის ბაზრის მოცულობა 2022 წლისთვის ასცდება 92 მილიონ ლარიან ნიშნულს. ამ ბაზრის დაახლოებით 2/3 მოდის ციფრულ ფიტნესზე, ხოლო დარჩენილი 1/3-იანი წილი e-Health სეგმენტზე.

2021 წელთან შედარებით, ბაზარი მცირედით (3.4%-ით) გაიზარდა ლარში (გასათვალისწინებელია სავალუტო კურსის გამყარება). შესაბამისად, აშშ დოლარში გამოსახული ბაზრის ზრდა კიდევ უფრო შესამჩნევია (12.7%).

ივარაუდება რომ 2027 წლამდე, ბაზრის მოცულობა მიაღწევს 165 მილიონ ლარს (12.3%-იანი საშუალო წლიური ზრდით).

არსებული მონაცემები გაანგარიშებულია ავტორების მიერ Statista-ს ინფორმაციაზე დაყრდნობით და გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველთვიური საშუალო გაცვლითი კურსები.

ციფრული მედიის ბაზარი საქართველოში

ციფრული მედიის ბაზრის მოცულობა* (მლნ. აშშ დოლარი)

*შემოსავალი, რომელიც მიიღება საბოლოო მომხმარებლისთვის ციფრული მედიის სერვისის მიყიდვით B2C სექტორში

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში ციფრული მედიის ბაზრის მოცულობა 2022 წლისთვის ასცდება 27 მილიონ აშშ დოლარიან ნიშნულს, რაც გულისხმობს 3.3%-იან წლიურ ზრდას. ამ ბაზრის დიდი ნაწილი მოდის ვიდეო თამაშებზე (57%) და ვიდეო მასალებზე - Video-on-Demand (26%), ხოლო შედარებით მცირე წილი უკავიათ ციფრულ ლიტერატურას (12%) და ციფრულ მუსიკას (5%).



არსებული მონაცემები გაანგარიშებულია ავტორების მიერ Statista-ს ინფორმაციაზე დაყრდნობით და გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველთვიური საშუალო გაცვლითი კურსები.

ციფრული რეკლამის ბაზარი საქართველოში

ციფრული რეკლამის ბაზრის მოცულობა* (მლნ. აშშ დოლარი)

*ციფრულ რეკლამაზე გაწეული ხარჯი ფირმების მიერ.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში ციფრული რეკლამის ბაზრის მოცულობა 2022 წლისთვის მიუახლოვდება 51 მილიონ აშშ დოლარიან ნიშნულს, რაც გულისხმობს 12.8%-იან წლიურ ზრდას. ამ ბაზრის ძირითადი ნაწილი მოდის საძიებო სისტემის რეკლამებზე (37%), ციფრულ ბანერებსა (31%) და ვიდეო რეკლამებზე (28%).

არსებული მონაცემები გაანგარიშებულია ავტორების მიერ Statista-ს ინფორმაციაზე დაყრდნობით და გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველთვიური საშუალო გაცვლითი კურსები.

DIGITAL ECOSYSTEM DIGEST

BTU ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი